საქართველოს მთავრობის

დადგენილება №188

2021 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელოვანის მიმდებარედ არსებულ 30000 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს/ტერიტორიას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.07.08.960) მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებული რეგულირების ზონაში დამტკიცდეს საკურორტო-სარეკრეაციო რეჟიმი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**